

**ადმინისტრაციული საჩივარი**  
**ს.ს.ი.პ. სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო**

**I. მონაცემები საჩივრის წარმდგენი პირის და მისი წარმომადგენლის /ასეთის არსებობის შემთხვევაში/ შესახებ**

<b>ფიზიკური პირი</b> სახელი, გვარი მისამართი საკონტაქტო ინფორმაცია	
<b>იურიდიული პირი</b> სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი მისამართი საკონტაქტო ინფორმაცია	
<b>წარმომადგენელი</b> სახელი, გვარი მისამართი საკონტაქტო ინფორმაცია	

**II. მიუთითეთ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, სადაც შეიტანება ადმინისტრაციული საჩივარი**

ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც შეიტანება ადმინისტრაციული საჩივარი	
---	--

**III. მიუთითეთ იმ ორგანოს / სტრუქტურული ერთეულის / თანამდებობის პირის დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტი ან ქმედება საჩივრდება.**

ადმინისტრაციის ორგანოს / სტრუქტურული ერთეულის / თანამდებობის პირის დასახელება	
---	--

**IV. მიუთითეთ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი/ქმედება.**

გასაჩივრებული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის რეკვიზიტები (ნომერი, თარიღი)	
გასაჩივრებული ქმედება	

**V. ფაქტობრივი გარემოებები**

-----

-----

-----

-----

-----

-----

-----

-----

**VI. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი** (მიუთითეთ კანონის, კანონმქვემდებარე აქტის შესაბამისი ნორმა, რომელიც დარღვეულ იქნა ან და არ იქნა გამოყენებული სარეგისტრაციო წარმოებისას.)

**VII. მოთხოვნა**

**VIII. სხვა ორგანოები სადაც განიხილება ან განიხილებოდა თქვენი მოთხოვნა**

1. მოცემულ მოთხოვნასთან დაკავშირებით მიმდინარეობს თუ არა საქმის განხილვა რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოში ან და სასამართლოში.
2. არსებობს თუ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილება გასაჩივრებული გადაწყვეტილების გარდა.

**IX. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის ვადა**

1. მიუთითეთ არის თუ არა ადმინისტრაციული საჩივარი წარმოდგენილი კანონით დადგენილ ვადაში.
  - კი
  - არა
2. ვადის გაშვების შემთხვევაში მიუთითეთ ვადის აღდგენის მიზეზი და წარმოადგინეთ შესაბამისი დოკუმენტაცია.

**X. დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით**

---

---

---

---

---

---

---

---

- XI. ადმინისტრაციულ საჩვარზე დართული დოკუმენტების ნუსხა.**
- 1. –
  - 2. –
  - 3. –

ხელმოწერა

თარიღი

1. საჩვარი შედგენილი უნდა იქნას წერილობითი ფორმით. 2. საჩვარში აღნიშნული უნდა იყოს: - ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, სადაც შეიტანება ადმინისტრაციული საჩვარი; - საჩვარის შემტანი პირის სახელი, გვარი, საცხოვერებელი მისამართი; - იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის მიერ მიღებული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი საჩვარდება; - გასაჩვრებული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის დასახელება; - მოთხოვნა; - გარემოებები, რომელიც საფუძვლად ედება საჩვრით დასმულ მოთხოვნას.

### **ინფორმაცია გასაჩვრების წესის შესახებ**

ი) ადმინისტრაციული საჩვარი – დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას;

### **თავი XIII ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩვართან დაკავშირებით**

#### **მუხლი 177. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩვრების უფლება**

- 1. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩვროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
- 2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩვრდება ამ თავით დადგენილი წესით.
- 3. ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან, გასაჩვრდება ამ თავით დადგენილი წესით.
- 4. ცალკე გასაჩვრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს პირდაპირ

არის გათვალისწინებული კანონით ან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან დამოუკიდებლად არღვევს პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს.

*საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6 20.03.2001წ., მუხ.8*

**მუხლი 178. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო**

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

3. პირს შეუძლია თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

*საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6 20.03.2001წ., მუხ.8*

*საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5671 - სსმ I, №1 03.01.2008წ., მუხ.3*

**მუხლი 179. ადმინისტრაციული საჩივარი**

1. ადმინისტრაციული წარმოება ამ თავით დადგენილი წესის შესაბამისად დაიწყება მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემთხვევაში.

2. ადმინისტრაციული საჩივარი შედგენილი უნდა იყოს წერილობით და უპასუხებდეს ამ კოდექსის მოთხოვნებს.

**მუხლი 180. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადა**

1. ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ.

3. გასაჩივრების ვადა არ შეიძლება დადგინდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემის ვადის დარღვევის შემთხვევაში.

4. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში იგი უნდა აღდგეს, თუ ამ ვადის გაშვება მოხდა დაუძლეველი ძალის ან სხვა საპატიო მიზეზით.

*საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6 20.03.2001წ., მუხ.8*

*საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37 14.07.2005წ., მუხ.245*